



აღმოსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 იანვარი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
3. ვახტანგ ზარქუა - ენერჯოეფექტურობის ფონდი
4. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
6. ნანა მეფარიშვილი - ექსპერტთა კავშირი „მდგრადი ენერჯია და გარემო“
7. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის
8. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
9. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

### განსახილველი საკითხები:

- მე-3 სამუშაო ჯგუფის 2016 წლის სამოქმედო გეგმა;
- ბათუმში 2016 წლის ივნისში დაგეგმილ ევროპის მინისტრიალზე „გარემო ევროპისათვის“ პარალელური შეხვედრის ჩასატარებლად თემატურისაკითხების მომზადება;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის მე-2 რეგრანტინგისათვის საპროექტო წინადადებების წარდგენა;
- გაზპრომთან დაკავშირებული საკითხის განხილვა;
- ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის თანამშრომლობა რეგიონების ორგანიზაციებთან ამ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების განხილვა;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი და მოკლედ მიმოიხილა ის სამი საკითხი, რომლებიც ჯგუფის სამუშაო პრიორიტეტებია:

- კლიმატის ცვლილება;
- მდგრადი განვითარება;
- ენერგეტიკული უსაფრთხოება

კოორდინატორმა მოუწოდა დამსწრეებს აქტიურობისკენ და სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის აღნიშნული მიმართულებებით დაგეგმვისაკენ.

მან ჯგუფის წევრებს ასევე მიწოდა ინფორმაცია ამა წლის 8-10 ივნისს ბათუმში დაგეგმილი მინისტრიალის შესახებ, რომელსაც მაღალი რანგის სტუმრები დაესწრებიან მათ შორის, როგორც ევროპის, ასევე შუა აზიის ქვეყნიებიდან. როგორც ქალბატონმა მანანა დევიძემ აღნიშნა, მინისტრიალი - „გარემო ევროპისათვის“ ეხება ორ ძირითად საკითხს:

1. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
2. გარემოს დაბინძურების შემცირება

მოეწეობა 20 პარალელური შეხვედრა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც და შესთავაზა ჯგუფის წევრებს გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები შეხვედრის ფორმატისა და ძირითადი აქცენტების შესახებ. რაც შეეხება შეხვედრის ხარჯებს, მოსალოდნელია, რომ ამისთვის სამინისტრო გამოიყოფს თანხებს და საჭიროა, ჯგუფმა წინასწარ მიმართოს შესაბამისი თხოვნით სამინისტროს.

მინისტრიალში მონაწილეობის მისაღებად ასევე აუცილებელია, დარეგისტრირება პირველ თებერვლამდე. რამდენადაც სააპლიკაციო მოთხოვნაა დარეგისტრირდეს ორგანიზაცია, გაიმართა დისკუსია ორგანიზაციის შერჩევის შესახებ, თუმცა დასახელებული ორგანიზაციის ქვეშ სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებიც შეძლებენ მინისტრიალში მონაწილეობის მიღებას და ჯგუფის სახელით მუშაობას. დამსწრეთა გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დარეგისტრირდეს ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ და ჯგუფის სახელით ჩატარდეს შეხვედრა. შეხვედრის სავარაუდო ფორმატად ჯგუფის გადაწყვეტილებით, მოიაზრება დეკლარაციის ტექსტი, რომელიც სამოქალაქო სექტორის პოზიციას გამოხატავს. დეტალური განხილვისთვის კი გადაწყდა ჩაინიშნოს დამატებითი შეხვედრა.

სამუშაო თემატიკა შემდეგი ფორმულირებით შეჯერდა: **აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის არასამთავრობო ორგანიზაციები მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის.**

როგორც ქალბატონმა მანანამ, ჯგუფის წევრებს გააცნო, ფორუმისთვის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლად არჩეულ იქნა ქალბატონი ნინო ჩხოზაძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო-ს წარმომადგენელი, რომელიც ეკოფორუმის საბჭოში მიიღებს მონაწილეობას.

ჯგუფმა შემდეგ საკითხად განიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ გამოცხადებული რეგრანტი.

შეხვედრის შემდეგი ნაწილი დაეთმო ჯგუფის კოორდინატორის, ბატონი ანზორ ღუნდუას მოხსენებას გაზპრომთან დაკავშირებული საკითხებზე. ბატონმა ანზორმაწარადგინა მის მიერ მომზადებული „მიმართვა საქართველოს პრემიერ მინისტრს, ენერგეტიკის მდგომარეობის შესახებ“, ასევე დამსწრე საზოგადოებას გააცნო „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ მიერ მომზადებული „მიმართვა საქართველოს პრემიერ მინისტრს, საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ“ და შესთავაზა ჯგუფის წევრებს განეხილათ, როგორც აღნიშნული მიმართვები ცალ-ცალკე, ასევე მიმართვის კომბინირებული ვერსიაც, რომ პლატფორმის სახელით გავრცელდეს სასურველი ვარიანტი/ვარიანტები.

შეხვედრის ბოლოს, საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს გააცნო 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები.

თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პლატფორმას მთელი წლის განმავლობაში ექნება შესაძლებლობა აქტიურად გამართოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, შეიმუშაოს განცხადებები, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და რაც მთავარია, გამოიყენოს *საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით* გათვალისწინებული ინსტრუმენტები და იმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების თანახმად, განიხილავს. მათ შორის მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ კოფერენციაში, რომელსაც ასევე დაესწრებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, გამართოს სექტორალური შეხვედრები, რაც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებთან დისკუსიისა თუ მრგვალი მაგიდების ფორმატში საკითხების განხილვას და სხვა.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.